დადგენილება:**დ-87. 8724094001**
თარიღი:**03/04/2024**

დადგენილება N7

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გასაცემი მითითების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის N32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გასაცემი მითითების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის N32 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 15/05/2018, სარეგისტრაციო კოდი: 330130000.35.162.016451).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

განმარტებითი ბარათი

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გასაცემი მითითების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის N32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ის, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია ახალი დადგენილება, რომლითაც დამტკიცებულია სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გასაცემი მითითების ფორმა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ვინაიდან საკრებულოს მიერ მიღებულია ნორმატიული აქტი, რომლითაც რეგულირდება N32 დადგენილებით გათვალისწინებული საკითხი, აქედან გამომდინარე ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია N32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის პროექტი შედგება 2 მუხლისგან. პირველი მუხლი ითვალისწინებს N32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, მე-2 მუხლის მიხედვით დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას <u>ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.</u>

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას <u>**ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**</u>

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.**

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.